იმერეთი

ფასი: წლიურად 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურად 3 აბ. **ცალკე ნუმერი ეღირება შაური.**
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად გადახიდონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილად. საზღვარგარეთ წლიურად 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურად 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კიკეკასის გაოუშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამკლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამის 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანეთი.

კვირა 17 აგვისტო

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ.

„იმერეთი“

თფილისის ქუჩა, ფარადოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში. სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

№ 131 ყოველდღიური გაზეთი ხელიწადი მესამე 1914 **№ 131**

სიმონ, დავით და გიორგი არხიპოს ძე ჯანელიძეები და დეპი მათი: ნინა, კატო, ანიუტა, სოფიო და ქრისტინა გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გადაცვალებას ბუსაყვარესი დედის

ელისაბედ დიმიტრის ასულის ჯანელიძისას

გამოსვენება და დაკრძალვა დანიშნულია სამშაბათს, 19 მარიობისთვეს, ნაშუადღეზეს სამ საათზე, სოფ. თერჯოლაში. პანაშვიდე ყოველდღე.

ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის
გამგეობა ამით აცხადებს, რომ
მისაღები გამოცდები დაიწყება 25 აგვისტოდან.

ექიმის იკ. ბოგერიას

საავათმყოფო

გადაყვიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწყოლ ავათმყოფებს ღებულობენ ეოველ დროს.

უდიდესი

სპეციალური წიგნის მაღაზია და წიგნის საწყობი

ქ. ქუთაისში

კოსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა და ამხ.

დამზადებულია დიდ-ძალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნები საშუალო და დაბალ სასწავლებელთათვის. პროვინციის წიგნის მაღაზიებსა, სახალხო შკოლებსა, ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებს შარშანდელივით ეთმობათ წიგნები მეტად საღვათად პირობებში.

წიგნის მაღაზიას გახსნილი აქვს საკუთარი საკაზმავი სახელოსნო, ამის გამო მას ეძლევა საშუალება, რომ ზოგიერთი წიგნის ყდა დაუთმოს ჩვეულებრივ ფასზე უფრო ნაკლებ.

წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია სპეციალური საკანცელარიო მაღაზია **დ. ი. ოცხელისა**, რომელსაც მიღებული აქვს საქონელი პირდაპირ რუსეთისა და საზღვარგარეთის გამორჩენილ ფირმებისგან და ამიტომ ყოველგვარი სასწავლო და საკანცელარიო ნივთი ამ მაღაზიაში იყიდება **ძალიერ იაფად.** აქვე გახსნილია რვეულების საკეთებელი საკუთარი სახელოსნო, რის გამოც მაღაზიას შეუძლია რვეულები იქონიოს უკლებლივ და გაყიდოს ზომიერ ფასათ.

კ. ოცხელის წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემები:

1. ყუბანეშვილი. პირველ დაწყებითი დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე . . . . . ფასი 6 შაური.
2. ქვარიანი. საქართველოს მოკლე ისტორია . „ 2 აბაზი.
3. ნიკოლაიშვილი. მოკლე ქართული გრამატიკა . „ 1 „
4. არითმეტიკული კრებული, შედგ. ქუთ. საანბ. შკოლის მასწ. ჯგუფის მიერ სურათებით . . . . „ 7 შაური.
5. „ცხოვრება და მეცნიერება“. (ახალგაზდა ქართველ მეცნიერთა და სტუდენტთა ნაწარმ. კრებული) . „ 1 მან.
6. ფუნაძე. მამადი . . . . . „ 3 შაური.
7. მისიენ. ისლამი. . . . . „ 3 „
8. მოძრავი ანბანი . . . . . „ 2 „
9. იგივე კარდონზე . . . . . „ 6 „

აქვე საწყობშია შემდეგი გამოცემანი, რომელთაც მაღაზია ყიდის იმავე დათმობით, როგორც საკუთარს გამოცემას:

1. „გუთანი“. ქართული სახელმძღვანელო . . ფ. 17 შაურ.
2. ხუნდაძე. გრამატიკა . . . . . „ 3 აბაზი.
3. მისიენ მოკლე გრამატიკა . . . . . „ 1 „
4. ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა . . . „ 10 შ.
5. მღ. ა. გერსამია. ლოცვანი . . . . . „ 2 „.
6. ალ. ჯიჯინაძე. გეოგრაფია . . . . . „ 3 აბ.
7. დათეშიძე. ქართული წერის დედანი. . . . „ 5 შ.
8. ფ. ქორიძის მიერ გადაღებული საგალობლების ნოტები სხვადასხვა ფასისა.
9. კ. აბაშიძე. ეტიუდები მე-19 საუკ. ქართული ლიტერ. 2 ნაწილი. თითო ნაწილი . . . . . „ 14 შ.
10. ალ. ხახანაშვილი. ბატონყმობა საქართველოში. „ 10 „
11. შექსპირი. გადმოღებული ყმაწვილთათვის ს. ყიფიანის მიერ . . . . . „ 1 აბ.

იბეჭდება ახალი გამოცემები: შიო მღვიმელის ლექსთა კრებული, გ. იოსელიანის მიერ ყრმათათვის გადმოღებული „ვეფხის ტყაოსანი“, ალ. ჯ—ძის ეროვნული შემოქმედება, ქირთული ანბანი, შედგ. „გუთნის“ ავტორების მიერ. ახალი რუსული ენის სახელმძღვანელო. გ. წერეთლის მამიდა ასმათი და რუხი მგელი, სამაგალითო სამზარეულო და სხვა.

ქუთაისი. დაიბეჭდა და იყიდება

თ. მთაწერიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში

შემდეგი ახალი **საკუთარი** გამოცემები:

„მამულის სიყვარული და მსახურება“—ნ. ნიკოლაძისა ფ. 1 აბაზი
„ხუცური ანბანი“ და კარიკატურა . . . ფ. 1 აბაზი
„ლოცვანი“ მღვდ. პლ. ცქიტიშვილისა 2 შაური (ყდით 3 შაური)
„შაქრას ნამამობი“—ს. ყიფიანის . . . . 3 კაპ.
„ქართული მოძრავი ანბანი“ . . 2 შაური (კარდონზე 10 შაური)

—

იბეჭდება და მალე გამოვა დასურათებული სახელმძღვანელო „გუთანი“, მესამე გამოცემა.

მოწოდება.

ქუთაისის ქალაქის მოურავისა

მოულოდნელი უბედურება დაგვატყდა თავზე. ღვთის რისხვად მოვევლინა ქვეყნიერებას ომი, ისეთივე საზარელი, როგორც ჟამი, მიწის ძვრა და წარღვნა. თავისუფალი, შშვიდობიანი ცხოვრების დღნა ერთიანად დაირღვა, აირია.

ჩვენი პატარა ქვეყანა, ისედაც სუსტი და გაჭირებული, ომიანობის დროს უკიდურესს მდგომარეობაში ჩაყენენ.

ჩვენს გაღატაკებულს ოჯახებს ომიანობამ მოგლიჯა გულიდან ერთად-ერთი მისი მარჩენალი, მისი პირისუფალი.

ჯარის კაცებათ ომში გაწვეული ჩვენი ძმები და შვილები სისხლს ანთხევენ შშვიდობიანობის, ჩვენი არსებობის დასაცავად. ასეთი ფასდაუდებელი მსხვერპლი ჩვენგანაც მოითხოვს შესაფერ მსხვერპლს.

სამარახისი, სამარცხვინო იქნება ჩვენთვის, რომ ჩვენი უყურადღებობის მიზეზით დაიშეს ცოლ-შვილი და დედ-მამა ანაბარად მიტოვებულ ომში გაწვეულ ჯარის კაცებისა.

მოქალაქენო! თქვენთვის თავდადებული მოძმეთა ოჯახები მოითხოვენ თქვენგან ნივთიერ დახმარებას და თქვენც დაუყონებლივ უნდა აღმოუჩინოთ იგი.

მიეშველენით, რითაც შეგიძლიათ: ფულით, ნივთით, საქონლით, სანოვაგით; შეწირულების სიბერეს ნუ მოარიდებთ, ყველაფერი მადლობით მიიღება, მხოლოდ უპირატესობა ეძლევა ფულის შეწირვას.

საქონელთაგან სასურველია შემოწიროს: კაცის უხმარი თეთრეული, საბანი, ფუფაიკა, ყაბალახი, ტილო, მიტკალი, ცხვირსახოცი, წუღები, წინდები და სხვ.

სანოვაგეთაგან: ჩაი, შაქარი, კონიაკი, ღვინო, კოსტერვი, გალეტი, სუხარი, კრუპა, შოკოლადი, კაკაო, საპონი, თუთუნი, პაპიროსი, გიდროსკოპიული ბამბა, მარლე, ტერმომეტრები და სხვ. ისეთი სანოვაგე, რომელიც მალე ფუჭდება, არ მიიღება.

შეწირულება უნდა გამოეგზავნოს ქუთაისის ქალაქის გამგეობაში განსაკუთრებულ კომიტეტს, რომელიც მოკმედობს ჩემის თავმჯდომარეობით.

შემწირველთა ვინაობა და შეწირულების რაოდენობა დაუყონებლივ გამოცხადდება გაზეთში.

ქუთაისის ქალაქის მოურავი **ილ. ჩიქოვანი.**

მინადორა დუნდუას

ქალთა პროფესიონალური სასწავლებელი,

გადავიდა

ბალახვანის ქუჩაზე, იოსებ ბაქრაძის სახლებში. ბავშვების მიღება დაიწყება 25 აგვისტოდან. წელს იხსნება 4-ხე კლასი. აქვე აერის გახსნილი საანბანო განყოფილებაც. ნახვა შეიძლება მოსალაპარაკებლათ დილის 9 სათ.—2 საათ.

შექსპირი ქართულად!

გამოცემა ივანე მაჩაბლის თარგმანებისა.

მიღება ხელის მოწერა ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნ

შექსპირის

რვა ტრაგედიის გამოცემაზე: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი იულიო-კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე). გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიკავს ათასამდი გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები. ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა სამძიმოა,—მათთვის ხელის მოწერა განაწილებულია სამ ვადად: **პირველ** ნაშმოსატანი—1 მან. მეორე—პირველ ნოემბერს—1 მ., და მესამე—1 მ. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელის მოწერა მიიღება **თფილისში:** ქართველთა შორის (ფერა-კოთხეის გამავრ). საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგას ქუჩაზე, 52), და **ქუთაისში** მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში და ისიდორე კვიკარიძის კანტორა „იმერეთ“-ში გამომცემელი **კნ. ანასტასია ალექს. ასული მაჩაბლისა**

ДАМДЕАКАРАА АТЕТЕЛТАТЕ 471,

ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეს ალექსანდრე გუგუცაძეს. ნახველის მიეცემა შესაფერი ჯილდო და ვსთხოვ წარმოადგინოს გაზეთ „იმერეთის“ რედაქციაში.

ექიმი **ი. ა. ცეხანოვსკი** გადავიდა ძველი ბინიდან ივანოვის ქ., შაავ ქვის საბჭოს ზევით. ღებულობს ვენერიულ, საშარდე, სიფილისიან და სხვა სასქესო ავათმყოფებს. მიიღება ავათმყოფები დილით 10—1 ს., საღ. 5—8 საათ.

ექიმი **გრიგოლ ალშიბაია** ეუკვე დაბრუნდა და განაგრძობს ავათმყოფების მიღებას ძველ ბინაზე.

ექიმი **მ. დ. ბეთანოვი** იღებს **კანისა, ვენერიული, და სქესობრივი უძლურებით ავადმყოფთ** დილის 9—12 ს., საღამოს 5—8 ს. აფთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.

ელექტრონის და სინათლის სამკურნალო კაბინეტი

ექიმის **გაბრიელ იოსეფის ძის გოკიელისა** შინაგანი, ნერვების და ვენერიული ავათმყოფთათვის. ავადმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

ექიმი **ვ. ი. კაკიტელაშვილი** საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საგარდე მილისა და ბუშტის ელექტროენიერი შანათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის ბანაბანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

მისამართი: ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

ექიმი **გ. დ. ნასარიძე** დაბრუნდა და ავათმყოფების მიღება განაახლა (შინაგანი, ბავშვების და ნერვების სნეულებანი) დილით 9 2 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე თფილისის ქუჩაზე, ეზიკოვის სახლში (ქალაქის პირველ აფთიაქის პირდაპირ).

ქ. ქუთაისში

კბილის ექიმი

ს. ა. ცვეიტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება, მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

ტელეფონი 153.

ექიმი **ი. ჩარქოვი ქალაქის საავთმყოფოს ორდინატორი.** გაანახლა **კანის, ვენერიული და სიფილისიან ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე** დილით 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში.

დოკტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი **ვ. ბ. მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი.

გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

ქუთაისში
ქარხანები
ბ. ფეტიბეგოვ-ალიევ-ოღლი
ბ. ფეტიბეგოვ-ალიევ-ოღლი
ბ. ფეტიბეგოვ-ალიევ-ოღლი

სრულიად ევროპის ომი

დეპეშები

ჰტ. დეპ. სააგენტოსაგან.

14 აგვისტო.

ლონდონი. 14 აგვისტო. ტოგოლანდოში მყოფ ინგლისის ჯარების სარდალი იუწყება, რომ კორინაში გერმანელებმა დასწყვიტეს თავიანი ტელეგრაფი, გამოგვიგზავნეს შუა კაცები და შეგვატყობინეს: დაგემორჩილებით, თუ სპასტიო პირობებს დაგვიდებთო. ჩვენ ვუპასუხეთ: უნდა დაგვემორჩილოთ ყოველ პირობებს გარეშეო. გერმანიის პასუხს მოველით.

ბელგრადი. 13 აგვისტო. გუშინ საღამოს, 11 საათზე, ბელგრადის დასავლეთი ყოფ პოზიციებს მტერმა საშინელი ოროლა აუტეხა, მაგრამ ბევრი ვერა დააკლო რა. სროლა შეწყდა დღის 2 საათზე. სერბიელთა არტილერიას არ უპასუხნია.

ლონდონი. 13 აგვისტო. ტოგოლანდოში გერმანელები დამორჩილდნენ ყოველ პირობათა გარეშე. მოკავშირეთა ჯარები კორინაში შედიან. 14 აგვისტოს, დღეით ანტვერპენში გამოაქვეყნეს შემდეგი ცნობა: ბელგიელთა ჯარების უკანასკნელ მოქმედებას კარგი შედეგი მოჰყვა. მათი მიზანი იყო: 1) დაეჭირათ გერმანელების გამაგრებული პოზიცია და 2) მტერი გიტეტუუბინათ საფრანგეთის პოზიციებიდგან მოლან (?) ბრიუსელისაკენ. ასეთი ხერხის წყალობით გერმანიის მეოთხე დივიზია, რომელიც სამხრეთისაკენ მიდიოდა, იძულებული შეიქნა უკან დაბრუნებულიყო. ბელგიის მეოთხე დივიზიამ ჩინებულათ შეასრულა თავისი დანიშნულება, შეაჩერა რა გერმანიის ჯარის წინმსვლელობა. ამის შემდეგ ბელგიელთა ჯარებმა საფრანგეთის პოზიციებისაკენ დაიხიეს. ნემიურის ფორტები ჯერ კიდევ აუღებელია.

პეტერბურგი. 14 აგვისტო. თანახმათ საკუთარის ხმოვნისა სამსახურიდან დათხოვნილ იქნა კალიშის გუბერნატორი რაფალსკი. პეტერბურგის პირიქეზე გამარჯვებულ წინასწარ ხელის მოწერით შეიკრიბა 200,000 მან. სიმარა საჭიროებისათვის. ხელის მოწერა გრძელდება.

პარიზი. 14 აგვისტო. აქ მოვიდა ათას ხუთასი ბელგიელი. მათ შორის ოთხასი ბავშვია. ესენი წამოსული არიან მონსისა და შარლერუას ოლქებიდან. მათი უმეტესი მდგომარეობისა გამო, ისინი დაანაბავეს დიდი ცირკის შენობაში. მისცეს ტანისამოსი და გაუწიეს საექიმო დახმარება. გამოქცეულები ამბობენ, რომ გერმანელები ყველგან სწვავდნენ სოფლებს, სცარცვავდნენ და ჰკლავდნენ მეტოვრებელებსაო.

რიგა. 14 აგვისტო. ცნობა მოვიდა, რომ ჩვენმა ჯარებმა ტილზიტი აიღეს.

ლონდონი. 14 აგვისტო. ოფიციალური ცნობებით და ლონდონის გაზეთების სიტყვით, ბრძოლის ველზე შემდეგი მდგომარეობაა: საფრანგეთის ჯარებმა გერმანელთა ყველა იერიში მოიგერიეს. გერმანელების სამი დიდი რაზმი, რომელიც სცდილობდა ინგლისის რაზმები მოეწყვიტა, მოკავშირეთა ჯარებმა სასტიკათ დაამარცხეს. ბელგიელთა რაზმმა, ანტვერპენიდან წამოსულმა, კვლავ დაიჭირა მოლინი და იქიდან გერმანელთა დივიზია გამოდევნა. ნემიურის ციხე-სიმაგრეების ერთი ნაწილი ჯერ კიდევ აუღებელია.

პარიზი. 14 აგვისტო. გამოცხადდა შემდეგი ცნობა სამხედრო სამინისტროისა 13 აგვისტოს თარიღით:

სატეი ზოქმედება საფრანგეთის ჯარებისა, საზოგადოთ, წარმატებითია. ამისდა მიუხედავათ ნანსსა და ვოგეზს შუა მარჯვენა ფრთა იძულებულ შეიქმნა სენდუნის რაიონისკენ დაეხიოთ. მტერმაც დიდი ზარალი ნახა. სულ მცირე მანძილზე დასთველეს 1500 დაზოკილია გვამი. ჩვენის ყუმბარებით ერთს თხრილში განადგურებულ იქმნა მთელი ნაწილი მტრის ჯარისა. ამ უკანასკნელ სამი დღის განმავლობაში მოიხდარი მედგარი შეტაკებანი, როგორცა სჩანს ჩვენს, სასარგებლოთ უნდა დამთავრდნენ. გერმანთან თვალსაჩინო არა მოიხდარა რა. ბერძოლოთა ორივე მხარე დასვენებას ეძლევა. უკანასკნელ ბრძოლის შემდეგ ჩრდილო რაიონში საფრანგეთ-ინგლისის ჯარებმა ცოტა უკან დაიხიეს, მაგრამ მტერს მაინც მედგრათ იგერიებენ.

ლონდონი. 14 აგვისტო. ოსტენდენიდან მოსული ცნობებით გერმანიის ჯარების რამდენიმე ფრთამ ან უნდა უკან დაიხოოს ან უნდა მოსწყდეს უმთავრეს ჯარებს. როგორცა სჩანს, გამარჯვება თავდამსხმელ ჯარებისაკენ იხრება. ინგლისის ჯარების მარჯვენა ფრთამ, რომელიც უერთდებოდა საფრანგეთის ჯარების მარცხენა ფრთას მონსსა და პერომს შორის, მტერს ბრძოლა აუტეხა. ეს ბრძოლა, მომხდარი მონსის აღმოსავლეთით, ისე შორავდა ინგლისის უმთავრეს ძალებს, რომ, სროლის ხმა ვერ აღწევდა. გერმანელთა იერიშები წუთიერი შეტაკების ხასიათისა იყო.

ცეტინე. 12 აგვისტო. კატარის ნავთსადგურიდგან გამოვიდნენ ავსტრიის სამხედრო გემები, ბუდვისკენ რამდენიმე ზარბაზანი გაისროლეს და ისევ კატაროში დაბრუნდნენ.

პარიზი. 13 აგვისტო. რადგანაც დღევანდელ ამბების გამო საქირო იყო სამინისტროს უფლებათა გაფართოვება, ამიტომ ვივიანმა პუანკარეს სამსახურიდგან გადადგომის თხოვნა მიართვა. პუანკარემ მიიღო ეს თხოვნა და ისევ ვივიანს დაავალა ახალი კაბინეტის შედგენა.

პარიზი. 13 აგვისტო. ვივიანმა პრეზიდენტს შეატყობინა ახალი კაბინეტის შედგენის ამბავი. კაბინეტში მოხდენ: მინისტრ-პრეზიდენტი უპორტფელოთ-ვივიანი, იუსტიციის მინისტრი-ბრიანი, გარეშე საქმეთა-დელკასსე, შინაგან საქმეთა-მალეი, სამხედრო—მილიერამი, ზღვათა—ოგანიეი, ფინანსთა—რიბო, განათლებისა—სარრო, საზოგადო სამუშაოთა—სემბა, ვაჭრობისა—ტომსონი, ახალშენებისა—დუმერი, მიწათმოქმედებისა—ფერნან-დ

რომ ჩვენებმა მდინარე ალლეზე ბევრი ფონი ჩაიგდეს ხელში.

ვისლასა და დნესტრის შუა ჩვენი ჯარები უახლოვდება ავსტრიის ჯარებს.

13 აგვისტოს ტამაშოვთან და მონასტრუესთან ომი წარმატებით დაეწყოთ.

ბარაზი. ელისეის სასახლეში მოხდა ახალ მინისტრთა პირველი კრება. ამ კრებაზე გადაწყვეტეს მოწოდებით მიმართონ ხალხს. მინისტრთა საბჭო ყოველდღე დილაობით შეიკრიბება.

ლიონის სადგურზე ჩამოვიდა 3000 იტალიელი მოხალისე, იქვე ჩამოვიდენ რუსების მოხალისეებიც. ფრანგებისა და იტალიელების მოხალისენი ერთმანეთს კოცნიდენ. ხალხი მარსელიეზასა, რუსეთისა და გარიბალდიელთა ჰიმნს მღეროდა.

ფრაკია. გერმანია სათათრეთს იმ კონტრიბუციის მეოთხედს პირდება, რომელსაც საფრანგეთიდან აიღებს, პირდება აგრეთვე მუსულმანთა ყველა ქვეყნების სათათრეთის ტახტის ქვეშ შეერთებას

გერმანელების სამხედრო მისია სათათრეთს ხეცა და სხვა პროვოკაციულ საქციელზე აქციებს, რათა ამით სათათრეთის და მეზობელ სახელმწიფოთა შორის განხეთქილება ჩამოაგდოს. ოსმალეები რუსებისა და რუმინიის გემებიდან, ბოსფორში შესვლისთანავე ხსნიან უმავოულო ტელეგრაფებს და პირდებიან რომ დაბრუნებისას ისევ გადასცემენ მათ. ამის გამო რუსების გემის უფროსები პროტესტს აცხადებენ.

ლონდონი. 15 აგვისტო. ბრინდიდან გაზეთებს დებეშით ატყობინებენ, რომ კორფუს წყლებზე ინგლისის ნაღმოსანმა დაღუპა ავსტრიის ნაღმოსანი.

ვაშინგტონი. გერმანიის ჯარების საქციელის გამო, პრეზიდენტი ვილსონი ამზადებს მოწოდებას მებრძოლ სახელმწიფოებისადმი და სთხოვს ხელი აიღონ მეტისმეტ სისასტიკეზე.

პარიზი. პარლამენტის სოციალისტთა ჯგუფმა მოწოდება გამოსცა, ამ მოწოდებაში აღნიშნულია ის მიზეზები, რომლის გამოც ორმა მათმა წევრმა მინისტრობა იკისრა და ამბობენ: ამჟამათ, როცა რეპუბლიკისა და მთელის ნაციის არსებობას განსაცდელი მოელის, მთელი ხალხი უნდა აღსდგეს და დაიცვას სამშობლო და თავისუფლებაო.

ტოკიო. იაპონიის ფლოტი კიოჩაოს გარს შემოერტყა.

ვილნა. აქეთ გამოატარეს თოთხმეტი ზარბაზანი, რომელშიც გერმანელებს წაართვეს უკანასკნელ ბრძოლის დროს.

ყაგიზმანი. არზრუმში გაძარცვეს დავიდოვის მაღაზია: ზარალი 100,000 მანეთს უდრის. ქეთაქეში გაძარცვეს შაქ-

---

ბ. კაკაბაძე მაშინებს ვიღაც მოწმეებით, მაგრამ აღარ გახსენებია კიდევ უკეთესი მოწმეები, რომლებსაც მე აქვე დავუსახელებ:

1) ორი ხელშეკრულობა მე და კაკაბაძეს შორის, ბ. კაკაბაძის საკუთარის ხელით მოწერილი, 2) დიტიატკოვსკის ამხანაგობის წიგნში დაცული ცნობები იმის შესახებ, რომ ბ. კაკაბაძე ჩემს ქალაღლს, რომელიც ჩვენს საერთო გარეგოობას უნდა მოხმარებოდა, გზაზენიდა თავისი პროშიურებისთვის კერესელიძის სტამბაში, 3) ბ. კაკაბაძისთვის ჩამორთმეული ხელ-წერილი ჩემგან მიცემული თამასუქებისთვის; ამ თამასუქებით ბ. კაკაბაძეს უნდა აეღო სესხი, რომლითაც უნდა მოხმარებოდა ჩვენს საერთო გამოცემას. ნამდვილად კი ბ. კაკაბაძემ თავი გაინთავისუფლა ჩემგან და ჩინებულთან მოახერხა ჩემზე ადრე გამოეცა თავისი შრომა, თუმცა, მისივე სიტყვით, არავითარი სახსარი არა ჰქონდა. ამის თანხმობის წერილიც ბ. კაკაბაძისავე ხელმოწერილი ხელში მაქვს და, მე 4-ე, გაზეთში მოთავსებული კაკაბაძისავე ხელით დაწერილი განცხადებები „ვეფხისტყაოსნ"-ის გამოცემის შესახებ.

ბ. კაკაბაძე თავიტს თავის წერილს სიტყვებით: „თანახმა ვარ სამ დიტატორო სასამართლოზედაც". ამისთვის დიდ მადლობას ვსწირავ: მე არა თუ თანახმა ვარ, პირდაპირ მოვითხოვ ბ. კაკაბაძისგან სამედიტატორო სამართალს. ამ დღეებში ველი იმ პირებს, რომლებიც დაგვეხმარებიან ამ საქმეში.

აუსტინე პაუკაძე.

რის საწყობი, ზარალი 70,000 მანათისაა. მდიდარი თურქები ჯარში წასვლაზე უარს ამბობენ. მოგრო�o 90 გირვანქა სტერლინგი თავის გამოსასყიდველ ფულისა.

ურმია. აქაური ქურთები ძალზე აღელვებულნი არიან ამ დღეებში მოხდა მათი შეტაკება ოსმალეთის ჯართან. უკანასკნელ ოცდაათი კაცი მოუკლეს. შეტაკება კიდევ მოსალოდნელია.

პარიზი. მილიერანს ყოველდღე ბეჭმბა აქვს სამხედრო სამინისტროს დეპარტამენტებთან დირეკტორებთან. დღეს განხილეს საკითხი პარიზის ირგვლივ არსებულ ციხე-სიმაგრეებს სათმარ ფეზზე დაყენების შესახებ. პარიზში მოვიდენ პირველი დაჭრილები ჩრდილო-ჯარებიდან. დაჭრილებმა უამბეს ,,ტან''-ის თანამშრომელს, რომ გერმანელები დაჭრილთა ტრანსპორტებს თოფებს უშენენო.

პარიზი. სამხედრო მინისტრმა შემდეგი ცნობები გამოაქეყნა: გერმანელებს სენდიისკენ დაეახვეინეთ. გერმანელებმა ზარბაზნები დაუშინეს და გაძარცვეს უმეწო ქალაქი სენდიე. ვოგეზის რაიონში ნანსთან ეს მეხუთე დღეა ფრანგები წინ მიიწევენ. გერმანელებს დიდი ზარალი მოსდით. მაგალ. ნანსიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტზე სამი კილომეტრის მანძილზე ნახეს 2500 მკედარი გერმანელი. ვიტრიმონის ფრონტზე ოთხი კილომეტრის მანძილზე ნახეს 4500 მოკლული გერმანელი. ლონგვი, რომელიც ძველის ძველი ციხეა და რომელსაც იცავდა მხოლოდ ერთი ბატალიონი მეციხოვნეთა, ოცდა ოთხი დღის წინაადმდეგობის შემდეგ მტერს დანებდა. მეციხოვნეთა ნახევარი მტერს ზედ შეაკვდა. დაჭრილია ლონგვის კამენდატი პოდპოლკოვ. დარშმთაზე ფრანგებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს გერმანელთა იერიშს და ერთი დროშა წაართვეს. ჩრდილოეთით მტერმა, რომელიც გაცილებით მეტი იყო, იერიში მიიტანა ინგლისის ჯარზე. ბრწყინვალე წინააღმდეგობის შემდეგ ინგლისელები იძულებული იყვნენ უკან დაეხოთ.

ნიში. ავსტრიელებმა ბარბაროსულათ დაანგრიეს და გაძარცვეს შივაცი. ორ უმთავრეს ქუჩაზე ერთი სახლიც არ დარჩენილა გაუძარცავი. მაღაზიების კარები ჩამტვრეულია. საკონელი გატაცებულია. კერძო სახლებიდან რის წაღებაც ვერ მოახერხეს, ქუჩაში გადმოჰყარეს. რამდენიმე სახლი დასწვეს, სამოცი ტყვე სალდათი მოჰკლეს. თორმეტი წლისაზე უფროსი გოგოები გაუუპატიურეს. ერთს სახლში ნახეს ოცამდე მოკლული ბავშვი. ყველა სოფლებიდან ავსტრიელებმა მძევლები წაიყვანეს, ზოგი დახვრიტეს და ზოგსაც არავინ იცის რა მოუვიდათ. ახალგაზდა ქალები გაუუპატიურეს. ბევრი მალგანი აწამეს და მოჰკლეს. პირველ ხანათ ავსტრიელები ჯერ თვალებს აუხვევდნენ და მერე ისე ხოცავდნენ კაცებს, ქალებს და ბავშვებს, შემდეგ თვალებსაც აღარ უხვევდნენ. რადგანაც ტყვეა-წამალი ენახებოდათ, ბევრი ხიშტებით არის დახვრეტილი. ქალაქ ლოზნიკას შეშინებულმა მეხოვრებლებმა ოცდაათი-ათასი დინარი გადაუხადეს ავსტრიელებს, რომელთაც მაინც მძევლები მოსთხოვეს.

ტოკიო. ავსტრიის ელჩს პასპორტები ჩაბარეს.

თფილისი. ხელმწიფე იმპერატორიც ალექსანდრა თედორეს ასულმა მიანდო გრაფინია ვარანცოვ-დაშკოვისას დაარსოს თბილისში მისის უდიდებულესობის სახელობის საწყობი და გამოუგზავნა 10000 მანათი.

ტოკიო. თუმცა იაპონიას აფიციალურათ არ გამოუცხადებია ომი ავსტრო-უნგრეთისათვის, მაგრამ დიპლომატიური ურთიერთობანი შესწყვიტა. ავსტრიის ელჩი ამერიკაში მიემგზავრება.

პეტერბურგი. ნისლის დროს გერმანელთა სუბუქი კრეისერი ჩვენ ნაპირებს დაეჯახა და ლამბე გაჩერდა. თუმცა ბალ მიეშველენ გერმანიის ნაღმოსნები, მაგრამ ადგილიდან ვერ დაძრეს. გათენე ბისას ნისლმა გადაიყარა, და ჩვენმა ორმა კრეისერმა „მაგდებურგს" ზარბაზნები დაუშინა. იმან გვიპასუხა, მაგრამ მალე გაჩერდა. ბრძოლის დროს გერმანიის კრეისერს საკვამლები მოგამტვრიეთ. კრეისერის წინა ნაწილი აფეთქდა. კამანდირი, აფიცერთა და გემზე მოსამსახურეთა ერთი ნაწილი ტყვეთ წამოიყვანეთ.

კოპენჰაგენი. 16 აგვ. ბერლინიდან დეპეშითატყობინებენ, რომ იმპერატორმა ვილჰელმმა უმთავრეს ბანაკში მდგომ ჯარებს დაახედა და შემდეგი სიტყვით მიჰმართა: „ჩვენ კიდევ არა ერთი და ორი სისხლის ღვრა მოგველის და იმედია გვაქვს, რომ შეწეენითა ღვთისათა ჩვენ მტრებს ტყვესწავაძრობთ. გვწადიან გამარჯვება და უნდა გავიმარჯოთ კიდეცა". ამბობენ რომ იმპერატორს ამ სიტყვით ჯარის გამხნევება უნდოდა, ვინაიდან იმ დიდ ზარალის შემდეგ, რომელიც გერმანიის ჯარს მისდის, ასეთი გამხნევება აუცილებლათ საჭირო იყოთო.

პეტერბურგი. ცნობა მოვიდა, რომ შვეიცარიის გულწრფელათ სურს დაიცვას მტკიცე ნეიტრალიტეტი.

იტალია. იტალიის მთელი პრესა დიდის თანაგრძნობით ეკიდება სამთა შეთანხმებას, და შეიძლება, ეს გული თქმაც იყოს მთელის ქვეყნისა.

ნანსი. ფრანგებმა ხელმეორეთ დაიპირეს ლიუნეველის სიმაგრეები და გერმანიის ჯარები მდინარე მერტის იქით გადადევნეს. ამ ბრძოლის დროს გერმანელებს მარჯვენა ფრონტზე დიდი ზარალი მოუვიდათ. გერმანიიდან კონსტანტინოპოლს გაემგზავრა განსაკუთრებული მატარებელი, რომელსაც გაჰყვნენ გერმანელი ადმირალი, ფლოტის აფიცრები და 840 მეზღვაური. ადმირალი და აფიცრები სახელათ ინგრნრეს ირქმევენ, მეზღვაურნი კი - მუშებს.

პეტერბურგი. უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბიდან აღმოსავლეთ პრუსიის ფრონტზე, სოლდაუსისა, ალენშტაინისა და ბიშუბოტურგის რაიონებში 12,13 და 14 აგვისტოს სასტიკი ბრძოლა იყო. ალენშტაინი დაიპირა რუსის ჯარმა. ყველაზე დიდი ზარალი გერმანელებს მაშინ მოუვიდათ, როდესაც პეტრაკოვის რაიონისაკენ დაიბიეს. ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა უკუ აგდო გერმანელთა სამი ესკადრონი, რომელთაც ველოსიპედისტთა რაზმიც ეშველებოდა.

ტყვეთ წამოვიყვანეთ 127 ველოსიპედისტი. გალიციის ფრონტზე 13 აგვისტოს მომხდარმა კერძო ბრძოლამ უმთავრესი ბრძოლის ხასიათი მიიღო. ლიუბანისა და ხოლმის გუბერნიებსა და აღმოსავლეთ გალიციაში ფრონტი თითქმის სამას ვერსზე გაიშალა. პირველ ხანებში ბრძოლას შეხვედრითი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ჩვენმა მამაცმა და სახელოვანმა ჯარმა ხელმართული ბრძოლა გააჩაღა. წაართვეს ბაირაღი და სულ მთლათ ამოსწყვიტეს გონვედების მთელი 11 პოლკი. მედგარი ბრძოლა გრძელდება.

ყურსალ-გაზეთებიდან

მინისტრთა საბჭო.

„რუსსკოე სლოვოს" სიტყვით, ოსმალეთის მინისტრთა საბჭოში განხეთქილებაა. ენვერ-ფაშა აშკარად გერმანელების მომხრეა და იმ აზრისაა, რომ ახლავე საჭიროა გერმანიის მიშველება და რუსეთთან ომის გამოცხადება.

ზოგიერთი მინისტრები და მათ შორის შიხულ-ისლამი, იმ აზრისანი არიან, რომ ჯერ გერმანიის გამარჯვებას უნდა უცადონ და, თუ გერმანიამ გაიმარჯვა, მაშინ მიამხრონ მას.

თალაათ-ბეი საჭიროდ სცნობს ჯერ ბულგარეთისა და რუმინიის დამოკიდებულება გამოარკვინონ.

საზღვაო მინისტრი რუსეთთან შეთანხმების მომხრეა.

საბოლოო გარდაწყვეტილებას მაშინ დაადგება პორტა, როცა თალაათ-ბეი დაბრუნდება.

ოსმალეთ-ბულგარეთის სამხედრო კონვენცია.

ყოველსავე ექუს გარეშეა, რომ ოსმალეთმა და ბულგარეთმა სამხედრო კონვენცია შეჭკრეს. როგორც იტყობინებიან, ბულგარეთმა უკან დაუბრუნა ოსმალეთს ის თოფები, რომელიც მან ადრინაოპოლის აღების დროს ჩაიგდო. „ნოვოე ვრემია" ამის შესახებ სწერს: „ეჭვი აღარ უნდა გვქონდეს ამის შემდეგ, რომ ოსმალეთის მობილიზაცია მიმართულია სამთა შეთანხმებიაც წინააღმდეგ და განსაკუთრებით რუსეთისა".

ინგლრაშის მოწოდება.

უნგრეთის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე გრაფ. ინდრაში „მადიარ ხირლაშ"-ში ოსმალეთს ავსტრო-უნგრეთთან საკავშიროდ მოუწოდებს და საერთო ინტერესებზე უთითებს:

— ავსტრო-უნგრეთის გაძლიერება— სწერს ინდრაში— ოსმალეთის გაძლიერება იქნება. ავსტრო-ოსმალეთის კავშირი ევროპის მეგობარეობას გამოაკეთებსო.

გრაფ ანდრაში საპროსი სცნობს ბალკანეთზე თანაბრიანობის ჩამოსაგდებათ რუმინო-ბულგარეთ-ოსმალეთის კავშირის განხორციელებას.

სამხედრო მზადება.

როგორც „რუსსკოე სლოვოს" ატყობინებენ, ოსმალეთში მობილიზაცია ჩქარის ნაბიჯით მიდის. ბოსფორს ამაგრებენ. აშენენენ სამს ახალ ბატარეიას, თითოს ზვიდი ზარბაზანით. ჯარისაკცთა წვრთნა განუუწყეტელივ სწარმოებს გერმანელ აფიცერთა ზედამხედველობით, რომელთაც თავს იდვეს ბოსფორის სიმაგრეთ უფროსობა.

გერმანელი აფიცრები ამგვარად ამბობენ, რომ პირველი ყუმბარა რუსეთის საელჩოს მოხვდებაო. გერმანელი გემები „პრინც ალბერტ", „სორხოვადა" და „გენერალი" კრეისერების მაშელ გემებად არიან მოწყობილი. დანარჩენი 14 გერმანული გემი მზათ არიან დესანტის მისაღებად.

ფონ ბეტმან-ჰოლვეგის სიტყვა.

გერმანიის რეიხსტაგის ისტორიულ სხდომაზე იმპერიის კანცლერმა ფონ ბეტმან-ჰოლვეგმა შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა:

,,შავი ყორანი დასჩხავის ევროპას, ორმოცდაოთხი წელიწადი ვინახეთ ჩვენ ზავი და ეხლაც მზათა ვართ ვიცხოვროთ მშვიდობიანის შრომით. იმპერატორიდან დაწყებული უკანასკელ რეკრუტამდის, პირზე ყველას ერთი აღთქმა ედო: მხოლოდ ჩვენი საქმის დასაცავათ ამოვიღებთ მახვილს ქარქაშიდან. (აღტაცებული დასტური ყველა ადგილებზე) და დღეს, როცა იძულებული ვართ ქარქაშიდან მახვილი ამოვიღოთ, დაღვა წინააღმდეგ ჩვენის ცდისა შეგვენახა ზავი. რუსეთმა ჩვენს სახლთან ანთებული მაშხალა მოიტანა (აღტაცებული დასტური), ჩვენ ვიმყოფებით აუცილებელ თავდაცვის მდგომარეობაში. აუცილებლობა კი ყველა კანონს სპობს. (აღტაცებული დასტური) ჩვენმა ჯარებმა ლიუქსენბურგი დაიკავეს და ამ წუთს, როცა მე ვლაპარაკობ, შეიძლება ბელგიაშიაც შედიან. (მოძრაობა და ხმები მოწონებისა) ეს საერთაშორისო უფლებას ეწინააღმდეგება. მაგრამ ჩვენ ვიცოდით, რომ საფრანგეთი მზათ იყო შემოგვესიოდა და საფრანგეთის შემოსვევა კი ჩვენს ფლანგზე და ქვემო რაინში, შესაძლებელია, ჩვენთვის საბედისწერო ყოფილიყო. ამრიგად, ჩვენ იძულებულნი ვიყავით, ლიუქსემბურგისა და ბელგიის სამართლიან პროტესტის წინააღმდეგ მოვქცეულიყავით, მაგრამ უკანონობას ჩვენ მაშინვე გამოვასწორებთ, რაწამსვე მივაღწევთ ჩვენს სამხედრო მიზნებს (დასტური). ვინც ჩვენსავით მოქმარის წინაშე სდგას და ვინც უმაღლეს მიზნებისთვის იბრძვის, მან მხოლოდ ერთ რამეზე უნდა იფიქროს: როგორ დავახწიოთ თავი. (დიდი მოძრაობა აღტაცებული ხმები მოწონებისა), გაწმენდილის სინიდისით იწყებს გერმანია ბრძოლას. ჩვენ ვიბრძვით, რომ დავიცვათ ნაყოფი მშვიდობიანობის შროიმისა, დავიცვათ მემკვიდრეობა ჩვენის სახელოვან წარსულისა და ჩვენი მომავალი, დაგვიდგა წუთი დიდის განცდისა, მაგრამ მომავალს ჩვენ დიდის ნდობით შევყურებთ. ჩვენი ჯარი სამრიდად მზად არის, ჩვენი ფლოტი იალქნებ აშვებულია, მათ უკან კი — მთელი გერმანიის ამხედრებული ერი".

ლიბკნეხტი.

რეიხსტაგის სოციალდემოკრატი დეპუტატი, ბ-ნი ლიბკნეხტი, მოქმედ ჯარში მოხალისედ ჩაეწერა. ამის გამო შესწყდა სასამართლო დევნა, რომელიც მის წინაამდეგ იყო აღძრული მის უდიდებულესობის შეურაცხყოფისთვის.

სტრასბურგთან.

იმავე გაზეთის სიტყვით, 7—8 აგვისტოს სტრასბურგთან დიდი ბრძოლა მოხდა გერმანელებსა და ფრანგების შორის. შედეგი არ იცოდნ.

იმპერატორი ვილჰელმი და ნორვეგია.

ნორვეგია მუდამ იბყრობდა იმპერატორ ვილჰელმის ყურადღებას. თვრამეტი წელიწადია, რაც ვილჰელმი მოგზაურობს იქ. ბალჰოლმი მისი საყვარელი საზღვაო აგარაკი იყო. ნიშნათ თავის სიყვარულისა ნორვეგიისადმი საზოგადოთ, და ბალჰოლმისადმი განსაკუთრებით, ვილჰელმი აუარებელ საჩუქრებს გზავნიდა: ამშვენირებდა ეკლესიებს, გადამწყვარი ოლეზუნდა ხელმეორედ ააშენა და ჩრდილოეთ ნორვეგიაში, უშველებელ კლდეთა შორის სანანდინავიის ეროვნული ბანკი ააშენა. როგორც ამბობენ ამ ძეგლის გამო სახელითა ძალიან წაგავს თვით ვილჰელმს.

ლიუქსემბურგის გერცოგანა.

პეტერბურგში მოსულ ცნობით, ლიუქსემბურგის ნეიტრალიტეტის დაცვა, რამდენადაც შესაძლებელი იყო მისთვის, თვით ლიუქსემბურგის ახალგაზდა დიდმა გერცოგინიამ იღვა თავს.

როგორც კი გაიგო გერცოგინიამ გერმანიის ჯარის შესვლა, ეტლით სახელრისკენ გაემართა და უბრძანა მეეტლეს, სამზღვარზე მდებარე ხიდ აღლოდზე არდგარდმო გაეჩერებინა ეტლი, რათა გერმანელ ჯარების ხიდზე გადმოსვლა შეეჩერებინა.

გერცოგინიის ასეთმა საქციელმა თავდაპირველში გერმანელ ჯარში არეულ-დარეგა გამოიწვია, არ იცოდნენ რა ექნათ. მაგრამ მალე გერმანიის ეტლთან გერმანელი პოლკოვნეკი მივიდა. ახალგაზდა გერცოგინიის რევოლვერი დაუმიზნა და უბრძანა ადგილის განთავისუფლება ჯარის მოძრაობისთვის. გერმანია დაემორჩილა, მაგრამ განაცხადა, რომ ეხლავე ტელეგრაფით ვაცნობებ ყველაფერს გერმანიის იმპერატორსო.

ქუთაისი

ახალი ამბავი.

ამ დღეებში თფილისიდან ქუთაისში ჩამოვა ქუთ. დრამატიული დასი, რომელიც პიესების მზადებას შეუდგება.

✦ 15 აგვისტოს ქუთაისში დაპატიმრეს გაზეთ ,,ჩვენი აზრის'' რედაქტორ-გამომცემელი ლავრენტი ცაგარეიშვილი ხსენებული გაზეთის მერვე ნუმერში ილია რუხაძის მოთხრობის, ,,გასეირილი ხელის'' მოთავსებისთვის.

✦ ქუთაისის სახელმწიფო მიწათა და ქონებათა სამართველო ქალაქის გამგეთას სთხოვს აცნობოს მას 1) რა ფასში იცემა საღორიაზე ქცევა ტყე; 2) რა ფასში არის შეფასებული საღორიის აგარაკზე ქცევა მიწა და 3) როგორ იყიდება ამავე ადგილზე ერთი ქცევა მიწა ყოველივე გადასახადით.

✦ ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში მერვე კლასის ეგზამენები უკვე სრულდება. უკანასკნელი ეგზამენები დანიშნულია სამშაბათს.

✦ ქუთაისის მაზრაში ახალგაზდათა გაწვევა სამხედრო ბეგარის მოსახდელათ და კენჭის ამოღება დანიშნულია შემდეგ რიცხვებში: ბაღდათის რაიონში—დ. ბაღდათში 15—24 სეპტემბრამდის; სამტრედიის რაიონის -დ. სამტრედიაში 25 სეპტ. 2 ოკტომბრამდის; ხონის რაიონის —დ. ხონში 4-დან 11 ოკტომბრამდის; ქუთაისის რაიონის—ქუთაისში 12—19 ოკტომბრამდის; ტყიბულის რაიონის—ქ. ქუთაისში 20—37 ოკტომბრამდის და ქ. ქუთაისში 28—31 ოკტომბრამდის.

✦ ხვალ, 18 აგვისტოს, მომრიგებელ მოსამართლესთან საჯარო ვაჭრობით გაიყიდება აპოლონ გოგოლაშვილის მოძრავი ქონება, რომელიც შეფასებულია 31 მანეთად.

✦ ამჟამათ ქ. სოხუმში ხორცისა და პურის ნიხრი ამნაირია: ყუბანის საქონლის ხორცი:—18 კაპ., სუკი—22 კაპ. ტვინი—16 კაპ. ენა 18 კაპ., ცხვრის ხორცი— 18 კაპ. თხის ხორცი— 15 კაპ. ხბოსი--15 კაპ., კამეჩის—8 კაპ. პური პირველი ხარისხის გირვანქა 4 კაპიკ-ნახევარი, მეორე ხარისხის 3 კაპიკნახევარი, მესამეკი 3 კაპ. ხოლო ჭვავის—3 კაპიკათ.

✦ ომიანობის გამო სოფლის მოვაჭრეებმა დრო იშოვნეს და ყველაფერს თავის ნებაზე ჰყიდიან. მათ მოწინააღმდეგე არავინა ჰყავთ.

✦ ჯერ სიცხეებისა და მერე დიდი წვიმების შემდეგ ოდიშში ციებ-ცხელებამ თავი იჩინა ოჯახი ისე არ მოიძებნება, რომ ერთი ორი ავადმყოფი არ იყვეს. აქ წამალიც არ მოიძებნება, რომ ავადმყოფს მიაშველონ.

თფილისი.

სასინოდო კანტორის კრებები ეგზარხოსის განკარგულებით ამ ჟამად კვირაში ორჯელ იმართება.

— სამშობლოში დაბრუნების ნება დართეს გადასახლებულთ: გაბრიელ რუბაშვილს, ნიკოლოოზ ბზიკაშვილს და მიხეილ გეგელაძეს.

სავაჭრო სახლი **Ო. ᲒᲝᲙᲘᲔᲚᲘᲡ** შეილების ქუთაისში.

ამით საყოველთაოდ აცხადებს რომ, **ᲖᲝᲛᲘᲔᲠ ᲤᲐᲡᲔᲑᲨᲘ** საუკეთესო ხარისხის საზღვარგარეთის **ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲔᲑᲘ,**

მიღებულია და იყიდება
პორფელები, უბის წიგნაკები (ალბომები), საანგარიშო ჩოთქები, ყოველ ნაირი საწერი, საბეჭდავი და ფოტოს ქაღალდები.

ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲘ ᲚᲐᲛᲞᲠᲝᲕᲘᲡ, ᲭᲣᲠᲩᲚᲔᲣᲚᲝᲒᲘᲡ, ᲐᲕᲔᲯᲚᲔᲣᲚᲝᲒᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲐ ᲑᲘᲚᲔᲒᲐ Ⴓ. Ⴓ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ.

Ნ. Ⴒ. ᲠᲐᲤᲐᲔᲚᲝᲕᲘ ᲓᲐ Ⴐ. Ⴝ. ᲩᲐᲙᲕᲔᲢᲐᲫᲘᲡᲐ. მიხაილოვის ქუჩა,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის ბრაგადგარი არმატურა და მასი მოწყობილობა; ეკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ საღავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება ყოველ ფერი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრებ ღუმელები (ფეჩები), სამხარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, ლინოლეუმი საუკეთესო განთქმული ქარხნებისა და სხვა. ნინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვიკრძალება დანიშნულიანადდი, ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურად მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტექნიკი. პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა.

— კახეთის რკინის გზის მთავარი ინჟენერი რაციბორსკი, როგორც გავიგეთ, შუამდგომლობს, რათა ომში გაწვეულ მოსამსახურეებს ჯამაგირები შეენახოთ.

— **ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝᲑᲐᲓᲣᲠᲘ ᲡᲐᲯᲣᲗᲘᲡ.** თერგის ოლქის სახალხო სკოლების დირექტორმა ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელებლების გამგეობას მოსთხოვა დედანი მასწავლებელ სავლე აბულაძის თხოვნისა, რომელ-ც მას წინად კავკასის სკოლის გამგედ იქმნა არჩეული. რადგანაც ამ საკითხს დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს, ამიტომ დირექციის წინადადებას გამგეობამ ჯერ-ოვანის ყურადღებით შეეხედა და თხოვნა არ გაუგზავნა; თან შეატყობინა დირექტორს, მასწავლებლის თხოვნის წარმოდგენას საჭიროება არ მოითხოვს, რადგანაც ამ შემთხვევაში მთხოვნელის როლი ნაკისრი აქვს თვით წ. კითხვის საზოგადოების გამგეობას, რომელსაც, როგორც დაწესებულებას, ასეთი უფლება ეანონით მინიჭებული აქვსო.

ᲡᲣᲠᲡᲐᲗᲘᲡ ᲙᲐᲘᲗᲮᲘ ᲒᲔᲠᲐᲐᲜᲘᲐᲨᲘ.

გაზეთ „რეჩში“ ცნობილი დეპუტატი ა. შინგარიოვი გერმანიის შესახებ შემდეგს სწერს:

„უკანასკნელ ამბების დროს რუსეთისთვის ხელსაყრელ პირობებს შორის ისიც არის, რომ შინ აქვს ყოველი სურსათი და საკვები. ეს დიდი უპირატესობაა: ჩვენ, ყოველთვის აუარებელ ხორბალს, ერბოს, კვერცხს, ფრინველსა და ნანადირეს ვგზავნით საზღვარ გარედ. საშუალო და ცუდი მოსავალიც საკმარისია სახელმწიფოს მცხოვრებთა გამოსაკვებად. ეხლა როდესაც ჩვენგან ყოველივეს გატანა შესწყდა, საცხოვრებელი სანოვაგე საჭიროებაზე მეტია. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ ის განაწილებულ იქმნას მოელ იმპერიაში გონივრულად და მისი გადატან-გადმოტანის საქმე შეფერხებული არ იქმნეს.

გამოკვების საქმეში გერმანია სხვანაირ მდგომარეობაშია. უმეტესი ნაწილი სანოვაგისა მას უცხოეთიდან შეაქვს. შემოტანილ საქონლის ნახევარი რუსეთიდგან მიდის. ბუნებრივია აღძრა საკითხისა, როგორ გაუმკლავდება გერმანია სურსათის საქმეს ასეთ კრიტიკულ მდგომარეობის დროს? ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ იქ უეჭველად მოსალოდნელია შიმშილობა; ყვითელი პრესის მოცლილი პუბლიცისტები კი უცნობ წყაროების მიხედვით უკვე იტყობინებიან ჩვენი მტრების ქვეყანაში დაწყებულ შიმშილობის თაობაზე.

არაფერი არაა ქარაფშუტა და დაუსაბუთებელ განცხადებაზე ეული სერიოზულ საკითხების გადაწყვეტის დროს. გამოკვების საკითხი გერმანიაში არც თუ ისე ცუდ მდგომარეობაშია, როგორც ბევრნი ჰგონია.

მართალია, გერმანიას შეაქვს 2,480 თასი ტონა (ერთი ტონა 62 ფუთს უდრის) ხორბალი, 614 ათასი ტონა სვილი, 628 ათასი ტონა ბრვრია, 3,477 ათასი ტონა ‘ არი, 743 ათასი ფუთი სიმინდი და სხვა ‘ ‘ ‘ ‘ სხვა. მხედველობაში არ მიგიღეთ ბუხუდოს, ცერცეს, ჩეჩევიცას, კარტოფილს და სხვა. მართალია, გერმანიაში დიდძალი პური შეაქვთ, მაგრამ ისიც უნდა ჩავთვალოთ ანგარიშში, რომ თვით გერმანიიდანაც ბევრი ხორბალი გაიქცა, 1911 წელს გერმანიიდან გაუტანიათ 309 ათასი ტონა ხორბალი, 768 ათასი ტონა სვილი, (ე. ი.) 154 ათასი ტონით მეტი, ვიდრე შეუტანია), 296 ათასი ტონა ქერი, 164 ათასი ტონა ნამდვილი პურისა და 164 ათასი ტონა სვილის პურის ფქვილი. შეტანის შეწყვეტის შემდეგ, ცხადია, შესწყდება გერმანიიდგან გატანაც. თითონ გერმანიაში ოფიციალური სტატისტიკის ციფრების მიხედვით საშუალოდ ასეთი მოსავალია: ხორბალი 230—240 მილიონი ფუთი, სვილისა—650—690 მილიონი ფუთი, შვრია 555 მილი. ფუთი, კარტოფილი 2,000 მილიონი ფუთი და სხვა. მხოლოდ გერმანიის საკუთარი ხორბლისა და სვილის მოსავალიც რომ მივიღოთ მხედველობაში, (წელს კი იგი ძლიერ კარგი იყო). მაშინაც კი ყოველ მცხოვრების წილად 14,1 ფუთი მოდის. მართალია, ნორმა დიდი არ არის, თუ მას ერთი წლის სარჩოდ ვიანგარიშებთ. ჩვეულებრივი ხარჯი ამ ხორბლებისა გერმანიაში ამ ციფრზე მეტია, მაგრამ ბევრით კი არა.

ამას კი კარტოფილისა და ლობიოს რიცხვიც რომ მიუმატოთ, მაშინ გერმანიის მცხოვრებლებს საკმაო სარჩო აქვთ. მარტო სვილის პურს შეუძლიან ხორბლის მაგიერობა გასწიოს. ჩვეულებრივი სვილი კი გერმანიიდან უცხოეთში გაქვთ უფროგასაჭირში იქნება ოთხფეში საქონლის კვება, გერმანიაში დიდძალი საკვები შეაქვთ უცხოეთიდგან: ქერი, ქატო, სიმინდი, შვრია, ნაწური და სხვა. ყველა უამისოდ გერმანიას არ შეუძლიან საქონლის გამოკვება.

მგრამ ამ გარემოებას მშვიდობიანობის დროს მოჰყვება ცუდი შედეგები; ომიანობის დროს კი არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ნახირს დახოცავენ ჯარებისა და მცხოვრებლების საზრდოთ. სტატისტიკური ცნობების მიხედვით გერმანიაში მსხვილფეხა საქონელი ჰყავთ 20 მილიონი, ცხვარი 6 მილიონი, ღორი 22 მილიონი, ე. ი. 400 მილიონზე მეტი ხორცი. რაც შედგენს თითო გერვანქას ყოველ მცხოვრებელზე 240 დღის განმავლობაში. ასეთია გერმანიის შენახული საკუთარი სურსათი, რომლითაც მას შეუძლიან 6—8 თვეს სრულიად თავისუფლად გასძლოს და არც შიმშილი განიცადოს.

ამასთანავე ჩვენ სრულიად არ ვიცით, რა თადარიგი დაიჭირა გერმანიამ ომის დაწყებამდე. გარდა ამისა მიმდინარე წლის პირველ ხუთი თვის განმავლობაში გერმანიაში რუსეთიდან გაუტანიათ: 912 მილიონი ფუთი ხორბალი, 4,8 მილიონი ფუთი სვილი, 58 მილიონი ფუთი ქერი, 16 მილიონი ფუთი ქატო და სხვა. საერთო ჯამი რუსეთიდან გატანილ პურისა 1 ივნისამდე 93 მილიონ ფუთს უდრიდა, ე. ი. ორჯერ მეტი, ვიდრე შარშან ამ დროს. ჩვენ არ ვიცით, რა მოხდა სხვა ქვეყნებში. უნდა ვიფიქროთ, რომ გერმანიამ ხორბლის დიდი თადარიგი დაიჭირა. გარდა ამისა ჩვენ არ ვიცით, 1914 წლის 1 იანვრიდან ომის გამოცხადებამდე რამდენი სურსათი შეეტანა სხვა ქვეყნებიდან. ამ დროს კი მას ყოველდღე შეაქვს: ჩრდილო ამერიკიდან 300—500 ტონა, რუმინიიდან 226 ათასი ტონა, არგენტინიდან 638 ტონა, ავსტრალიიდან 112 ათასი ტონა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეხლა გერმანიისათვის ყველა უცხოეთის ბაზარი დახურულია, ომის დაწყებამდე მას შეეძლო კარგად გამოეყენებინა ისინი. რუმინიის საზღვრები კი მგონი არც ახლა დახურული. ანნაირად ლაპარაკი ომის შესახებ, რომ გერმანიას შიმშილობა მოელის, სრულებით უსაფუძვლოა. რასაკვირველია, ჯარების მოძრაობა, მატარებლების მოძრაობის შეჩერება სანოვაგის ფასებს ასწევს, რადგან ვაჭრები ყველგან ისარგებლებენ შემთხვევით, მაგრამ ფიქრიც არ შეიძლება შიმშილობაზე, განსაკუთრებით ახალი მოსავლის შეკრების შემდეგ. ჩვენ არ უნდა დავამციროთ ან გავადიდოთ ჩვენი მტრების ღონე. მხოლოდ ომის ხანგრძლივობის დროს თუ გერმანია ყოველმხრივ შებორკილი იქნება და სხვა სახელმწიფოდან სურსათს ვერ მიიღებს, შეიძლება შესწუხდეს სურსათის უქონლობით. შეიძლება შიმშილობა ადრეც იქნეს. თუ ჩვენ და მოკავშირე ჯარებმა მალე გავიმარჯვეთ და მტრის ტერიტორიაზე სურსათი ჩავიგდეთ ხელში“.

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ.

მგელი შეეხვდა კაცსა და ჩვეულებრივი სალამი მისცა. კაცს გაუკვირდა მგლის ასეთი ლმობიერება და შენიშნა: „ეგ საკენკი თქვენ ქათმებს დაუყარეთ, პირად ნდობას რომ მოკლებული ხარ, ახლა ზრდილობისათვის მიგმართავსო“!

მგელს გაეცინა და უპასუხა: „ზრდილობა ხომ შენი პირბადეა, მაგრამ ნდობას რომ თქვენში გასავალი ჰქონდეს, მაშინ მე კაცი ვიქნებოდი და შენ კიდევ მგელი“!.

ᲡᲐᲜ ᲒᲐᲠᲘ.

ᲓᲐᲑᲐ-ᲡᲘᲝᲤᲔᲚᲘ.

სოფ. ცაგერი. (ლეჩხუმის მაზრა). ვგონებ ეს წერილი მეათედ მაინც უნდა იყვეს გაზეთში ცაგერის სახალხო სამკითხველოს უმწეო მდგომარეობის შესახებ. თითქმის რვა წელი მიმდინარეობს, რაც ცაგერში სამკითხველო გაიხსნა და, სიმართლე მოგახსენოთ მას ამ უკანასკნელ ხანებში არა თუ გაუმჯობესობა, არამედ არსებობაც არ ეტყობა. კანტიკუნტათ თუ იხილავს მკითხველი ერთ ან ორ გაზეთს, თორემ ხშირია ისიც, რომ თვალითაც ვერ ნახავს.

მიზეზი ამ სამკითხველოს უბადრუკი მდგომარეობისა, ჩემის ფიქრით თვით, ადგილობრივ ინტელიგენტთა გამბედაობის და მოქმედების დაკნინებაა.

როგორც ნამდვილი წყაროებიდან გავიგე, სამკითხველოს კარგათ შეუძლია თავის დანიშნულებას ემსახუროს, თუ კი მას მოხმარდები ის შემოსავალი, რაც მის სახელობაზე და არსებობისთვის არის დანიშნული. სამწუხაროა ეს არის, რომ მთელი მისი შემოსავალი გამგეს ჯამაგირში გადის, და სამკითხველოს კი თუ რამე სჭირდება, ის უფუროადღებით რჩება შინაგა და მოკრძალებისა გამო რომელიმე ერთეული პიროვნებისა. სამკითხველოს რომ სიტყვა შესძლებოდა, ის დღემდის ათასჯერ მაინც დაიძახებდა: „მე გამგისთვის ვარ და არა გამგე ჩემთვისაო“. ეს შეუძლებელია, ტ მოსარჩლეც არავინ გამოუჩნდა.

ზემოთ აღნიშნული ნებას მაძლევს მოვახსენო ცაგერის ინტელიგენციას და, განსაკუთრებით კი, სამკითხველოს მზრუნველ კომიტეტს, მოიხადოს შინაგა და უადგილო მოკრძალების რიდე და ასეთ მნიშვნელოვან დროს, როგორსაც წარმოადგენს დღევანდელი ისტორიული ხანა მთელი ევროპისა, სამკითხველო მოკლე ხნით მაინც დაიყენონ დანიშნულების სიმაღლეზედ.

ᲒᲐᲜᲓᲔᲕᲜᲘᲚᲘ.

ᲮᲔᲛᲝ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘ. ვის არ მოეხსენება, რომ წელს დიდს გაჭირვებას განიცდიდა ისედაც ბოლოდ-ტყავებული ხალხი წარსულს წელში სიმინდის მოუსავლობით. მართალია, ალმოუჩინა მთავრობამ შემწეობა სიმინდის სესხით, მაგრამ რა: ზოგს მისცეს ცოტაოდენი და ზოგი კი ღვთის ანაბარად დასტოვეს. რა იყო ამის მიზეზი?—ალაჰი უწყის! ახლა სულ ცუდათ წავიდა საქმე: ელვის სისწრაფით დაჭკა ავსტრია-სერბიის ომმა, ამის წყალობით შესწყდა მიმოსვლა საქონლის მატარებლებისა რკინის გზებზე, ეფაფერი მოზიდეს, ხალხი დარჩა ულუმო პუროთ. საითაც არ უნდა გაიხედოთ ერთსა და იმავეს გაიგონებთ: „სიმშილით სული გეხდება და ვის მივმართოთ არ ვიცითო“. პურის ფასმა თქვენი ჭირი წაიღოს, რომ მაინც იშოვებოდეს, მაგრამ სადაა?! მიდიხარ რომელსამე მეპურეესთან და ეკითხები: პური არა გაქვთ?—ჯერ ხმას არ გაგიცემს და ბოლოს მკვახეთ გიპასუხებს: „ვერ გაიგე, რომ პურის ფქვილი აღარად იშოვება“-ო. რაღა გეთქმის, უნდა განშორდე სასომიხდილი. აქით გარბიხარ, იქით ათვალიერებ, მაგრამ ვერას ხდები!? აგერ რომელსამე მეპურეს ამჩნევ პურს, მიდიხარ და შესთხოვ სამოწყალოსავით, მაგრამ ცივი უარით გისტუმრებს და გეუბნება: ეს ჩემი მუშტარებისათვის მინდა და შენ რა მოგცეო. შეაძლეს ზედმეტ ფასს, ჯერ უარს გეუბნება, ბოლოს გეთანხმება და ერთი ორთა გაძლევს ოყა პურს; იმასაც ისეთს, რომ ძაღლს არ ეკმევა. ხორცის და სისუფთავის შესახებ ხომ მეტია ლაპარაკი!?! ასე თუ ისე, ხალხი ხილით იკვებავს თავს და იმიტომ ალამ-ათენებს. საჭიროა ახლავ მის ასეთ მდგომარეობას ჯერ-ოვანი ყურადღება მიექცეს ვისგან ჯერ არს, თორემ რაიმე სენი იჩენს თავს, და შემდეგ ყოველივე ცდა ამაოთ იქნება!!—დღეს დიები ფ პატარა დაინტერესებულია ტურნალ-გაზეთებით, მაგრამ გასაყიდლათ ძალიან ცოტას დაატარებენ და ამით ბევრი გულდაწყვეტილი. ნეტავ რა არის ამ მიზეზი?!! აუცილებლათ საჭიროა, რომ ტურნალ-გაზეთებს მოემატოს!!

„ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐᲡ ᲜᲐᲗᲚᲘᲐ“.

ᲟᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘ“

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲗ ᲛᲘᲙᲔᲑᲐ 1914 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:

ერთი წლით	7 მანეთ
ნახევარი წლით	4 მანეთ
ერთი თვით	4 აბაზი
და ცალკე ნუმრის	1 შაურ

წლიური დასაკვეთიეთაზ ისე ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 ½ ᲬᲐᲛᲘ—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი ეთმობათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზად.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით редакція „ИМЕРЕТИ“ Гавріилу Ивановичу Дарахвелидзе **სხვა გვარად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.**

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდზედ, ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.

ᲗᲣᲗᲮᲛᲔᲢ ᲛᲐᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲐᲑᲐᲜᲝ.

კურსების მადნეული წელის

რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯანვინძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საფენი აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯანვინძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული **ᲥᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲑᲐᲜᲝ** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მადალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშვების საყმაწვილოს. გიმაროა,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატივისცემით **გ. მ. არჯავანიძე.**

ᲛᲣᲨᲐᲝᲒᲡ

ᲮᲡᲠᲔᲡᲘᲚᲘᲡ ᲛᲐᲓᲜᲔᲣᲚᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ

ᲫᲛ. ᲫᲝᲠᲯᲝᲚᲐᲫᲔᲔᲑᲘᲡ

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲐᲑᲐᲜᲝ.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, რ[illegible] გორც ნამდვილ გამოორკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყ[illegible] ფობას; **ქარებს** (**რევმატიზმს**) სხვადასხვაგვარ **მუწუკს, საყმაწვილოს ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ცივებს** (**მალარიას**) **კუჭის ტკივილს, ვ[illegible] რულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს** და სხვა. წყალი მიიღება ცივი [illegible] თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი **ექიმი**, სადაც მსურველს შ[illegible] ძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფ[illegible] ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. **აბა[illegible]** მდებარეობს **სადგურ „სერნია ოოდში“ ხრესილში** სტანციაა მატარებ[illegible] გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურ[illegible] მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანციია სერნია ოოდის“.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ.

ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ-ᲫᲠᲔᲕᲬᲧᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ

ᲡᲐᲒᲣᲚᲐᲚᲢᲔᲠᲝ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ

Ⴒ. Ⴒ. ᲒᲘᲒᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიშში.

კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მან. სწავლა კურსებზე იწყება 15 ეკენისთვიდან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში. (თფილისის ქუჩა).

კურსების გამგე: **Ⴒ. Ⴒ. ᲒᲘᲒᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

რედაქტორ-გამომცემელი **Ⴓ. ᲯᲐᲘᲐᲜᲘ.**

სტამბა „ᲓᲛᲝᲑᲐ“ პუშკინის ქუჩა, სახლი გოკიელოვის.